



შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი



მარნეული
2021

მუხლი 1.

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო პუნქტი.
2. სამედიცინო პუნქტს ხელმძღვანელობს, წარმოადგენს და მის მუშაობას წარმართავს ექიმი/ექთანაი.
3. კოლეჯი ვალდებულია ექიმის/ექთანის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგება.
4. კოლეჯი და თავად ექიმი/ექთანაი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება. მედიკამენტები აღირიცხება სამედიცინო პუნქტში არსებული მედიკამენტების ჟურნალში
5. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და დაწესებულების პერსონალს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს (სამუშაო საათებში) მიმართონ ექიმს/ექთანს და უსასყიდლოდ მიიღონ შესაბამისი სამედიცინო კონსულტაცია ან დახმარება.
6. თუ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან დაწესებულების თანამშრომელი ვერ ახერხებს ექიმთან/ექთანთან დამოუკიდებლად მისვლას ან/და ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოებო ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს ექიმს/ექთანს და სთხოვოს მათ სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირის ადგილზე გასინჯვა. ექიმი/ექთანაი ვალდებულია დაუყონებლივ დააკმაყოფილოს აღნიშნული თხოვნა.
7. ექიმი/ექთანაი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:
 - ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;
 - ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს სტუდენტის/მსმენელის ოჯახის წევრის ინფორმირება.

მუხლი 2.

1. სამედიცინო კაბინეტს ხელმძღვანელობს, წარმოადგენს და მის საქმიანობას წარმართავს ექიმი/ექთანაი, რომელიც:
 - 1.1. შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში უწევს პირველად სამედიცინო მომსახურებას დაწესებულების ნებისმიერ პირს და შემდგომ უზრუნველყოფს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახებას, ექიმმა/ექთანმა ოპერატორს ნათლად და კვალიფიციურად უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, აუღწეროს არსებული ვითარება, მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული დახმარების შესახებ და პირველმა არ უნდა დაკიდოს ყურმილი, ვინაიდან შესაძლოა ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.
 - 1.2. აწარმოებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების/მსმენელების რეგისტრაციას, შეისწავლის მათ სამედიცინო ისტორიას, უზრუნველყოფს მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვას, სტუდენტის/მსმენელის ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციის განახლებას, პერიოდულად აკონტროლებს სწავლის პროცესში ამ კატეგორიის სტუდენტების ადაპტირების პრობლემებს;
 - 1.3. ახორციელებს წარდგინებებს ექიმი/ექთანის სახელით.
 - 1.4. ექიმმა/ექთანმა შესაძლებლობის ფარგლებში კოლეჯში ატარებს აუცილებელ ღონისძიებებს დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.
 - 1.5. მედიკამენტებს ინახავს დაცულ კარადაში შესაბამის პრობლემებში, მუდმივად აკონტროლებს მათი ვარგისიანობის ვადას და აღრიცხავს სამედიცინო კაბინეტში არსებულ მედიკამენტების ჟურნალში. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტებზე წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს/ექთანს.

მუხლი 3.

1. წინამდებარე წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.